



დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	27.8	0.0	27.8	27.8	0.0	27.8	50.0%	100.0%
ნაშთის ცვლილება	-1,271.6	-873.0	-398.6	-669.2	-622.2	-47.0	83.0	-253.3	336.3		

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 19093,4 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 13626,0 ათასი ლარით. ბიუჯეტში მოხილვებულია 13468,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 70,5% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 98,8% -ს შეადგენს.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
შემოსავლები	19,093.4	8,293.0	10,800.4	13,626.0	5,469.0	8,157.0	13,468.8	5,464.4	8,004.4	70.5%	98.8%
გადასახადები	9,606.8	0.0	9,606.8	7,258.0	0.0	7,258.0	7,230.4	0.0	7,230.4	75.3%	99.6%
გრანტები	9,043.0	8,293.0	750.0	6,069.0	5,469.0	600.0	6,064.4	5,464.4	600.0	67.1%	99.9%
სხვა შემოსავლები	443.6	0.0	443.6	299.0	0.0	299.0	174.0	0.0	174.0	39.2%	58.2%

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

გადასახადების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 9606,8 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 7258,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 7230,4 ათასი ლარი წლიური გეგმის 75,3% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 99,6%-ია.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
გადასახადები	9,606.8	0.0	9,606.8	7,258.0	0.0	7,258.0	7,230.4	0.0	7,230.4	75.3%	99.6%
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-	-
კონების გადასახადი	350.0	0.0	350.0	300.0	0.0	300.0	449.2	0.0	449.2	128.3%	149.7%
დამატებული ღირებულების გადასახადი	9,256.8	0.0	9,256.8	6,958.0	0.0	6,958.0	6,781.2	0.0	6,781.2	73.3%	97.5%

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2023 წლის გეგმა 9043,0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმა 6069,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 6064,4 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 67,1%-ით, ხოლო პერიოდის გეგმა 99,9%-ით შესრულდა.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
გრანტები	9,043.0	8,293.0	750.0	6,069.0	5,469.0	600.0	6,064.4	5,464.4	600.0	67.1%	99.9%
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები	9,043.0	8,293.0	750.0	6,069.0	5,469.0	600.0	6,064.4	5,464.4	600.0	67.1%	99.9%
მიზნობრივი ტრანსფერი	716.7	716.7	0.0	466.0	466.0	0.0	465.2	465.2	0.0	64.9%	99.8%
მ.შ. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260.0	260.0	0.0	196.0	196.0	0.0	195.3	195.3	0.0	75.1%	99.6%
მ.შ. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	456.7	456.7	0.0	270.0	270.0	0.0	269.9	269.9	0.0	59.1%	100.0%
კაპიტალური ტრანსფერი	6,241.3	6,241.3	0.0	4,053.0	4,053.0	0.0	4,052.9	4,052.9	0.0	64.9%	100.0%
მ.შ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5,559.4	5,559.4	0.0	3,691.0	3,691.0	0.0	3,691.0	3,691.0	0.0	66.4%	100.0%
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	580.0	580.0	0.0	270.0	270.0	0.0	270.0	270.0	0.0	46.6%	100.0%
სპეციალური ტრანსფერი	2,085.0	1,335.0	750.0	1,550.0	950.0	600.0	1,546.3	946.3	600.0	74.2%	99.8%

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 443,6 ათასი, ხოლო პერიოდის 299,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 174,0 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 39,2%, პერიოდის გეგმის 58,2% ია.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>443.6</b>	<b>0.0</b>	<b>443.6</b>	<b>299.0</b>	<b>0.0</b>	<b>299.0</b>	<b>174.0</b>	<b>0.0</b>	<b>174.0</b>	<b>39.2%</b>	<b>58.2%</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	293.6	0.0	293.6	225.0	0.0	225.0	88.9	0.0	88.9	30.3%	39.5%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	50.0	0.0	50.0	34.0	0.0	34.0	46.1	0.0	46.1	92.2%	135.6%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	50.0	0.0	50.0	25.0	0.0	25.0	32.2	0.0	32.2	64.4%	128.8%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-	-
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	50.0	0.0	50.0	15.0	0.0	15.0	6.8	0.0	6.8	13.6%	45.3%

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 12357,4 ათას ლარს, პერიოდის კი 9429,6 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 9148,7 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 74,0% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 97,0%.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
<b>ხარჯები</b>	<b>12,357.4</b>	<b>1,617.9</b>	<b>10,739.5</b>	<b>9,429.6</b>	<b>1,326.2</b>	<b>8,103.4</b>	<b>9,148.7</b>	<b>1,312.8</b>	<b>7,835.9</b>	<b>74.0%</b>	<b>97.0%</b>
შრომის ანაზღაურება	3,127.6	119.2	3,008.4	2,342.0	90.0	2,252.0	2,326.0	89.4	2,236.6	74.4%	99.3%
საქონელი და მომსახურება	1,772.9	613.7	1,159.2	1,242.8	389.4	853.4	1,204.8	377.9	826.9	68.0%	96.9%
ბირთიანი და კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-	-
პროცენტი	27.0	0.0	27.0	14.0	0.0	14.0	11.3	0.0	11.3	41.9%	80.7%
სუბსიდიები	5,513.5	123.0	5,390.5	4,179.4	90.0	4,089.4	4,008.2	88.9	3,919.3	72.7%	95.9%
გრანტები	16.3	0.0	16.3	16.3	0.0	16.3	16.3	0.0	16.3	100.0%	100.0%
სოციალური უზრუნველყოფა	994.2	0.0	994.2	774.8	0.0	774.8	728.1	0.0	728.1	73.2%	94.0%
სხვა ხარჯები	905.9	762.0	143.9	860.3	756.8	103.5	854.0	756.6	97.4	94.3%	99.3%

### არაფინანსური აქტივების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური 7952,0 ათასი ლარით განისაზღვრა, პერიოდის გეგმა კი 4837,8 ათასი ლარით. საკასო შესრულება 4209,3 ათასი ლარია, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 52,9% და საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 87,0% ია.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>7,952.0</b>	<b>7,548.1</b>	<b>403.9</b>	<b>4,837.8</b>	<b>4,765.0</b>	<b>72.8</b>	<b>4,209.3</b>	<b>4,404.9</b>	<b>-195.6</b>	<b>52.9%</b>	<b>87.0%</b>
არაფინანსური აქტივების ზრდა		7,548.1	923.9	5,137.8	4,765.0	372.8	4,707.2	4,404.9	302.3	-	91.6%
არაფინანსური აქტივების კლება	520.0	0.0	520.0	300.0	0.0	300.0	497.9	0.0	497.9	95.8%	166.0%

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში განისაზღვრა თანდართული რეადაქციით:

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	წლიური გეგმის	პერიოდის გეგმის
------	------------	-----------------	----------------	----------------	---------------	-----------------

		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	შესრულების მაჩვენებელი	შესრულების მაჩვენებელი
7.0	მთლიანი ხარჯები	20,885.0	9,166.0	11,719.0	14,595.2	6,091.2	8,504.0	13,883.7	5,717.7	8,166.0	66.5%	95.1%
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,497.0	0.0	4,497.0	3,057.0	0.0	3,057.0	3,003.9	0.0	3,003.9	66.8%	98.3%
7.2	თავდაცვა	153.8	137.0	16.8	115.8	103.4	12.4	113.9	102.8	11.1	74.1%	98.4%
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	7,061.8	6,655.0	406.8	4,602.9	4,321.0	281.9	4,218.8	3,981.6	237.2	59.7%	91.7%
7.5	გარემოს დაცვა	1,099.3	317.0	782.3	540.0	0.0	540.0	524.8	0.0	524.8	47.7%	97.2%
7.6	საზიანო-კომუნალური მეურნეობა	1,105.7	836.2	269.5	960.0	740.0	220.0	916.9	710.4	206.5	82.9%	95.5%
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	123.0	123.0	0.0	90.0	90.0	0.0	88.9	88.9	0.0	72.3%	98.8%
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,129.1	0.0	2,129.1	1,645.7	0.0	1,645.7	1,574.3	0.0	1,574.3	73.9%	95.7%
7.9	განათლება	3,154.4	581.0	2,573.4	2,258.4	320.0	1,938.4	2,167.5	317.2	1,850.3	68.7%	96.0%
7.1	სოციალური დაცვა	1,560.9	516.8	1,044.1	1,325.4	516.8	808.6	1,274.7	516.8	757.9	81.7%	96.2%

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდოს პერიოდის შესრულების მაჩვენებელმა 110,8 ათასი ლარი, ხოლო საოპერაციო სალდოს მაჩვენებელმა 4320,1 ათასი ლარი შეადგინა.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
საოპერაციო სალდო	6,736.0	6,675.1	60.9	4,243.4	4,142.8	100.6	4,320.1	4,151.6	168.5	64.1%	101.8%
მთლიანი სალდო	-	-	-	-	-	-	110.8	-253.3	364.1	-9.1%	-18.6%

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილების პერიოდის შესრულების მაჩვენებელი 83,0 ათასი ლარია.

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
ფინანსური აქტივების ცვლილება	-	-	-	-	-	-	83.0	-253.3	336.3	-6.5%	-12.4%
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-	-
ფინანსური აქტივების კლება	1,271.6	873.0	398.6	669.2	622.2	47.0	83.0	253.3	-336.3	-6.5%	-12.4%

**მუხლი 12. ვალდებულებების ცვლილება**

დასახელება	2023 წლის გეგმა			პერიოდის გეგმა			პერიოდის ფაქტი			წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი	პერიოდის გეგმის შესრულების მაჩვენებელი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
ვალდებულებების ცვლილება	-	-	-	-	-	-	27.8	0.0	-27.8	50.0%	100.0%
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-	-
კლება	55.6	0.0	55.6	27.8	0.0	27.8	27.8	0.0	27.8	50.0%	100.0%

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნების გეგმა განისაზღვრა 8136,8 ათასი ლარის, პერიოდის გეგმა კი 5496,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 62,3%, პერიოდის გეგმის 92,3% - 5072,1 ათასი ლარი შეადგინა.

**ა) პროგრამის დასახელება - 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.**

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს. 2023 წელს გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 6277,2 ათას ლარს შეადგენს. საკასო შესრულების მაჩვენებელი 3923,2 ათასი ლარია, წლიური გეგმის 62,5%, ხოლო პერიოდის გეგმის 92,9%-ია.

**ბ) პროგრამის დასახელება - 02 04 გარე განათების უზრუნველყოფა**

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები დაფინანსდა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდა ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას, საკასო შესრულება 145,2 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 205,0 ათასი ლარის 70,8%, ხოლო პერიოდის გეგმის 157,0 ათასი ლარის 92,5%-ია.

**დ) პროგრამის დასახელება - 02 05 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსებისათვის 838,4 ათასი ლარი გამოიყო საკასო შესრულებამ 769,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 91,8%, პერიოდის გეგმის 801,0 ათასი ლარის 96,1%-ია.

**ე) პროგრამის დასახელება - 02 06 სოფლის განვითარების ხელშეწყობა**

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები. გაწეული ხარჯი 232,0 ათასი ლარია, წლიური გეგმის 704,6 ათასი ლარის 32,9%, პერიოდის გეგმის 315,0 ათასი ლარის 73,7%.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვრა 1050,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 524,8 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 50,0%, პერიოდის გეგმის 97,2%-ია.

**ა) პროგრამის დასახელება - 03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა**

ვანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს. კომუნალური გაერთიანების დაფინანსების წლიური მაჩვენებელი 733,0 ათას ლარს, ხოლო პერიოდის 540,0 ათას ლარს შეადგენს. საკასო შესრულება 524,8 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 71,6%, პერიოდის გეგმის 97,2%-ია.

**განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების წლიური ასიგნება განისაზღვრა 3154,4 ათასი ლარით, პერიოდის - 2258,4 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2167,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 68,7%, პერიოდის გეგმის 96,0 %-ია.

**ა) პროგრამის დასახელება - 04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი. 2023 წლის გეგმით გამოყოფილი ასიგნებები 2550,0 ათას ლარს, პერიოდის გეგმა 1924,4 ათას ლარს შეადგენს. საკასო შესრულება 1839,7 ათასი ლარია რაც წლიური გეგმის 72,1 %, პერიოდის გეგმის 95,6%-ია.

**ბ) პროგრამის დასახელება- 04 02 სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია**

ბავა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობისათვის, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის და აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით უნდა მოხდეს ბავა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მათ აღჭურვა სათანადო ინვენტარით. რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებული იქნება როგორც ქალთი და მამაკაცი პერსონალის, ასევე აღსაზრდელი გოგოების და ბიჭების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მოქნე პირების. პროგრამის განსახორციელებლად წლიური გეგმით 32,0 ათასი ლარი, პერიოდის გეგმით კი 14,0 ათასი ლარი მიიძარათ. საკასო შესრულებამ 10,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 33,1%, ხოლო პერიოდის გეგმის 75,7%-ია.

**გ) პროგრამის დასახელება - 04 03 საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა**

სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, განათლების სამინისტროსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს მოსწავლეთა ტრანსპორტირების ღონისძიებებს. პროგრამის განსახორციელებლად წლიური გეგმით 456,7 ათასი ლარი, პერიოდის გეგმით კი 270,0 ათასი ლარი მიიძარათ. საკასო შესრულებამ 269,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 59,1%, ხოლო პერიოდის გეგმის 100,0%-ია.

**დ) პროგრამის დასახელება-04 04 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია**

მუნიციპალიტეტის მიერ განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამაზე გეგმით 115,7 ათასი ლარი მიიძარათ. საკასო შესრულებამ 47,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 40,9%, პერიოდის გეგმის 94,6%-ია.

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების წლიური მოცულობა განისაზღვრა 2129,1 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა 1645,7 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1574,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 73,9%, პერიოდის გეგმის 95,7%.

**ა) პროგრამის დასახელება - 05 01 01 სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია**

პროგრამაზე გეგმით 20,6 ათასი ლარი მიიძარათ. საკასო შესრულებამ 8,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 39,8%, პერიოდის გეგმის 77,4%-ია.

**ბ) პროგრამის დასახელება - 05 01 02 სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 308,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 231,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 75,1%, პერიოდის გეგმის 91,4%-ია.

**გ) პროგრამის დასახელება - 05 01 03 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა**

საფეხბურთო კლუბ ვანის სულორს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 275,0 ათასი ლარი გამოეყო, პერიოდის გეგმა 200,6 ათას ლარს შეადგენს. საკასო შესრულება 199,8 ათასი ლარია რაც წლიური გეგმის 72,7%, პერიოდის გეგმის 99,6%-ია.

**დ) პროგრამის დასახელება - 05 01 04 რაგბის განვითარების ხელშეწყობა.**

სარაგბო კლუბ ვანის აიეტს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 212,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 148,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 69,9%, ხოლო პერიოდის გეგმის 160,0 ათასი ლარის 92,6%-ია.

**ე) პროგრამის დასახელება - 05 02 01 კულტურის ღონისძიებების ორგანიზება**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ბიბლიოთეკის, მუზეუმების, ცეკვისა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება. წლიური დაფინანსება 612,0 ათას ლარს, გეგმიური დაფინანსების მოცულობა კი 491,3 ათას ლარს შეადგენს, ფაქტობრივი შესრულება 461,8 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 75,5%, პერიოდის გეგმის 94,0% -ია.

**ვ) პროგრამის დასახელება - 05 02 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა**

სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 550,0 ათასი ლარი გამოეყო, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 76,4%, პერიოდის გეგმის 99,3 % - 420,2 ათასი ლარი შეადგინა.

**ზ) პროგრამის დასახელება - 05 02 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის ფაქტიური შესრულება 60,0 ათას ლარს შეადგენს, რაც 100%-ია პერიოდის და 60% წლიური გეგმის.

**თ) პროგრამის დასახელება - 05 03 კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება**

2023 წლის ასიგნება 50,0 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა კი 47,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად პროგრამაზე 44,9 ათასი ლარი დაიხარჯა, წლიური გეგმის -89,8%, პერიოდის გეგმის-95,5%-ია.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის წლიური გეგმიური დაფინანსება 1683,9 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა -1415,4 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულებამ შეადგინა 1363,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის -81,0%, პერიოდის გეგმის-96,3%.

**ა) პროგრამის დასახელება - 06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა და დადგენა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა, სანიტარული ღონისძიებები. ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსების წლიურმა გეგმამ 123,0 ათასი ლარი, პერიოდის გეგმამ კი 90,0 ათასი ლარი შეადგინა, საკასო შესრულება 88,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 72,3%, პერიოდის გეგმის 98,8%-ია.

**ბ) პროგრამის დასახელება - 06 02 01 ახალშობილთა ოჯახების დახმარება**

დახმარება გაეწია ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენისას 350 ლარის, მესამე 400 ლარის, მეოთხე და ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ტყუპების შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. წლიურად დამტკიცებული ასიგნების მოცულობა 70,0 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო საკასო

ხარჯი წლიური გეგმის 67,7%-ს, პერიოდის გეგმის 94,8%-ს - 47,4 ათას ლარს. პროგრამით ისარგებლა 139 ბენეფიციარმა.

**გ) პროგრამის დასახელება - 06 02 02 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, მიიღეს ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 100 ლარი. პროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 28,2 ათას ლარს შეადგენს, რაც პერიოდის და წლიური გეგმის-30,0 ათასი ლარის 94,0%-ია. ისარგებლა 67 ბენეფიციარმა.

**დ) პროგრამის დასახელება - 06 02 03 სამედიცინო დახმარება**

განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. პროგრამაზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმართულია 400,0 ათასი ლარი. საკასო ხარჯი 287,2 ათასი ლარია, წლიური გეგმის 71,8%, პერიოდის გეგმის 95,7%-ია. ისარგებლა 688 ბენეფიციარმა.

**ე) პროგრამის დასახელება - 06 02 04 ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება**

ყოველთვიური ფულადი დახმარება მიიღეს: ა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულმა ბენეფიციარებმა - 200 ლარის ოდენობით. ბ) 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული ბავშვთა ოჯახებმა - 250 ლარის ოდენობით. გ) 18 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ოჯახებმა -150 ლარის ოდენობით. დ) 18 წლამდე შაქრიანი დიაბეტის პირველი ტიპის მქონე ბავშვთა ოჯახებმა -150 ლარის ოდენობით.ე) ცერემბრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ოჯახებმა 100 ლარის ოდენობით. ვ) დიპლევით, ჰემიპლევით, პარაპლევით, ტრიპლევით, ტეტრაპლევით, კვადრიპლევით, კუნთების ატროფიითა და კიდურების პარეზით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ოჯახებმა 100 ლარის ოდენობით. ზ) მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა - 50 ლარის ოდენობით.

დაფინანსების საერთო მოცულობა 110,0 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო ხარჯმა წლიური გეგმის 73,9%, პერიოდის გეგმის 90,3% -81,3 ათასი ლარი შეადგინა. სარგებლობს 107 ბენეფიციარი.

**ვ) პროგრამის დასახელება - 06 02 05 შშმ პირთა დახმარება**

განხორციელდა შემდეგი კატეგორიის შშმ პირების ფინანსური დახმარება: ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით. ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით. დ) შშმ ბავშვთა დღის ცენტრის „ნათელი მომავალი“ - ყოველთვიურ ფინანსურ დახმარება 500 ლარის ოდენობით. გაწეული საკასო ხარჯი 49,8 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 76,0 ათასი ლარის 65,5%, პერიოდის გეგმის 59,2 ათასი ლარის 84,1%-ია.

**ზ) პროგრამის დასახელება - 06 02 06 მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტი ახორციელებს 25 შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირის ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას. საკასო ხარჯი 33,9 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 53,4 ათასი ლარის 63,5%, პერიოდის გეგმის 35,0 ათასი ლარის 96,9%-ია.

**თ) პროგრამის დასახელება - 06 02 07 სტიქიით დაზარალებულთა დახმარება**

დაზარალებული ოჯახებს, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ, გაეწიათ ფინანსური დახმარება. დახმარების ოდენობა განისაზღვრა ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, კომისიის



გადაწყვეტილების საფუძველზე. ასევე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა დაფინანსება და მოსახლეობას გადაეცემა სხვადასხვა სახის მასალა.

საკასო ხარჯი 542,8 ათას ლარს შეადგენს რაც წლიური გეგმის 556,8 ათასი ლარის 97,5%, პერიოდის 99,3%-ია.

#### **ი) პროგრამის დასახელება - 06 02 09 ვეტერანთა დახმარება**

ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღეს: ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველმა (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანებმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. გ) 26 აპრილისთვის, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დ) 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულებმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. გაწეულმა საკასო ხარჯმა 11,9 ათასი ლარი შეადგინა, წლიური გეგმის 13,0 ათასი ლარის 91,5%, პერიოდის გეგმის 12,0 ათასი ლარის 99,2%. პროგრამით 34 ბენეფიციარმა ისარგებლა.

#### **კ) პროგრამის დასახელება - 06 02 10 მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება**

პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია : ა) მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს ერთ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით. გ) დედ-მამით ობლებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით. წლიური გეგმით გამოყოფილია 22,0 ათასი ლარი, საიდანაც 16,4 ათასი ლარი დაიხარჯა, წლიური გეგმის 74,5%, პერიოდის გეგმის 82,0%. ისარგებლა 51 ბენეფიციარმა.

#### **ლ) პროგრამის დასახელება - 06 02 11 სტუდენტთა დახმარება**

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან -100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრა თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 16,5 ათასი ლარია, წლიური გეგმის 35,0 ათასი ლარის - 47,1%, პერიოდის გეგმის-20,0 ათასი ლარის 82,5%. პროგრამით ისარგებლა 33 ბენეფიციარმა.

#### **მ) პროგრამის დასახელება - 06 02 12 ძალადობის მსხვერპლთა დახმარება**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი 0,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 3,0 ათასი ლარის - 30,0% პერიოდის გეგმის 75,0% ია. პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა.

#### **ნ) პროგრამის დასახელება - 06 02 13 ბინის ქირით უზრუნველყოფა**

დახმარება გაეწია „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებულ პირებს/ოჯახებს. საკასო ხარჯი 7,1 ათასი ლარია, პერიოდის გეგმის -88,8%, წლიური გეგმის 12,0 ათასი ლარის -59,2%. ისარგებლა 20 ბენეფიციარმა.

**ო) პროგრამის დასახელება - 06 02 14 სარიტუალო დახმარება**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს : ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-120000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის ოჯახის დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ბ) ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. გ) გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის დახმარებას 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის ოჯახის დახმარებას 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებას 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. გაწეულმა საკასო ხარჯმა 10,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 15,0 ათასი ლარის 71,3%, პერიოდის გეგმის 11,0 ათასი ლარის 97,3% შეადგინა. პროგრამით 35 ბენეფიციარმა ისარგებლა.

**პ) პროგრამის დასახელება - 06 02 15 მარტოხელა მშობელთა დახმარება**

